

ვამტკიცებ:

შპს „ბულალტერთა მომზადების

ცენტრის“ დირექტორი ლ.

ჭუმბურიძე

10.07.2014 წელი, დანართი 6

ბულალტერთა მომზადების ცენტრის (ბმც) განვითარების გრძელ- ვადიანი სამოქმედო გეგმა 2014-2020 (10.07.14 – 10.07.2020) წლისათვის

1. ბმც-ს მისია და ორიენტირი

ბმც-ს მისიაა თანამედროვე პროფესიული განათლების გარემოს შექმნა, რომელიც მოემსახურება მაღალკვალიფიციური კადრების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას განათლების, საერთაშორისო სტანდარტების, პრაქტიკისა და ინოვაციის მჭიდრო ინტეგრაციის პრინციპებზე.

ბმც ემსახურება საქართველოში ბულალტრული აღრიცხვის სფეროში მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების დანეგვას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) კვალიფიციური გამომყენებელი სპეციალისტების ჩამოყალიბების გზით.

ბმც ორიენტირებულია ბულალტრის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და შენარჩუნებაზე, პროფესიაში ეთიკური ნორმების დამკვიდრებასა და მომსახურების მაღალი დონის ხარისხის მიღწევაზე.

2. ბმც-ს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები

ბმც-ის განვითარების გრძელვადიანი გეგმა 2014-2020 წლების პერიოდისათვის თვალისწინებს ეფექტური, ხარისხიანი და თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირებას, რომელიც განახორციელებს ბულალტრული აღრიცხვის სფეროსათვის III საფეხურის სპეციალისტების მომზადებას.

განათლების სისტემის სრულყოფის მიზნით დაგეგმილია ქმედითი წვლილის შეტანა ბულალტრული აღრიცხვის სფეროში შრომის ბაზრის კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

ბმც-ს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებებია:

- პროფესიული განათლების ევროპული სტანდარტების დანერგვა, პრაქტიკით გაჯერებული თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად;
- ორიენტაცია ფასს-ის საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზე;
- ქვეყნის მაშტაბით ბულალტრის პროფესიულ მომზადებაში ლიდერის პოზიციის დამკვიდრება და შენარჩუნება;

3. მიზანი და ამოცანები

ბმც მიზნად ისახავს ჩამოყალიბდეს როგორც სანიმუშო და ინოვაციური დაწესებულება პროფესიული განათლების სფეროში, რომელიც მოემსახურება მაღალკვალიფიციური, შემოქმედებითად მოაზროვნე კადრების მომზადებას. პროფესიული განათლების სეგმენტად შერჩეული აქვს პირთა წრე, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი მომავალი კარიერა ბუღალტრის პროფესიას დაუკავშირონ. ამდენად, ბმც ზრუნავს დაეხმაროს ზოგადი და ნებისმიერი პროფილის უმაღლესი განათლების ადამიანს ბუღალტრებად ჩამოყალიბებაში.

ბმც-ს მიზნისა და სტრატეგიული პროგრამის რეალიზაცია მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში:

1. პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემის კარდინალური სრულყოფა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. აღრიცხვის დარგის სპეციალისტების მრავალსაფეხურიანი სისტემით პროფესიული მომზადების განვითარება;
3. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს დამსაქმებელთა მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით;
4. დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა სხვა პროფილით განათლების მქონე პირებისათვის;
5. სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის აკადემიური მობილობის შესაძლებლობების შექმნა ბოლონის პროცესებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით;
6. განათლებაში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება;
7. სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის მიწოდების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისა და სწავლის პარალელურად პრაქტიკული საქმიანობის როლის გაზრდა, სტუდენტის მენტორთან მიმაგრების პრაქტიკის დანერგვა;
8. სწავლის ყოველ ეტეპზე სტუდენტის ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კონტროლი (შეფასების) სრულყოფა;
9. მასწავლებლებლად გამოცდილი პრაქტიკოს-სპეციალისტების და აკადემიური სექტორის ლექტორების მოზიდვა;
10. პარტნიორული კავშირების დამყარება საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან და წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

სტუდენტური პოლიტიკის სფეროში:

1. კეთილშობილების თვისების, პიროვნულად ყოველმხრივ განვითარების, კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისა და ლიდერის თვისებების მოსაპოვებელი პრობემების შექმნა სტუდენტებისათვის;
2. სტუდენტებში ცივილური ქცევის, პროფესიული ქცევის, პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვის პრინციპების განვითარება;
3. პროფესიული კოლეჯის განვითარებაში სტუდენტების მონაწილეობის გარემოს შექმნა და წახალისება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების სფეროში:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სასწავლო პროცესის უფრო მაღალ დონეზე ჩასატარებლად;
2. საინფორმაციო-კომუნიკაციური ბაზის სრულყოფა;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტების სასწავლო და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის;
4. რესურსების ეკონომიის რეჟიმის ოპტიმიზაცია.